ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა

განხორციელების ვადა: 02.01.2019 - 31.01.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 484 961

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
World Vision, Republic of Latvia

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/WorldVisionInGeorgia

პროექტის ვებსაიტები: wvi.org/georgia; worldvision.ge/

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის განხორციელებაში, რომლის შედეგდაც დაიხურა დიდი, საბჭოთა სტილის ბავშვთა დაწესებულებები და საფუძველი ჩაეყარა უფრო თანამედროვე, ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ მზრუნველობის მექანიზმებს. მას შემდეგ არაერთი პროექტი განხორციელდა, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფო სერვისების ხარისხი.

მოცემული პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის განვითარებაში და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურეობების ჩამოყალიბებაში. მის ფარგლებში ხდება არსებული ხარვეზების გამოვლეენა და აღმოფხვრა, ასევე სერვისების მიწოდება, რათა მთავრობამ კიდევ უფრო მეტად შეძლოს გააძლიეროს ბავშვთა დაცვის სისტემა და მაღალი ხარისხის ალტერნატიული მზრუნველობის მეთოდები შეთავაზოს ბენეფიციარებს.

პროექტი:
-ხელს უწყობს საქართველოში გაუმჯობესებული და მდგრადი ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სისტემის ჩამოყალიბებას ხარისხიანი ალტერნატიული მომსახურების სერვისებსა და დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობით
-აძლიერებს სახელმწიფოს პრევენციულ და ოჯახის მხარდაჭერის მექანიზმებს
-უზრუნველყოფს მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დეინსტიტუტიონალიზაციას

მოსალოდნელი შედეგები:

- შესაბამისი მექანიზმების, მოდელების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემუშავება და დახვეწა სოციალური მუშაობის სისტემის გასაძლიერებლად
- სოციალური მომსახურების სააგენტოს გაძლიერება და ოჯახზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესება
- სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება არარეგულირებადი ბავშვთა აღმზრდელობითი დაწესებულებების შესახებ და ამ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაძლიერება და ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების სახელმწიფო რეგულირების ჩარჩოში მოქცევა